ჩვენი უნივერსიტეტი

აკადემიკოსი **კორნელი კეკელიძე**

ოცდახუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა **სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ოცდახუთი წელიწადი არც ისე დიდი მანძილია ისტორიისათვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ხაზით, უნებლიეთ სიამაყის გრძნობით შევხედავთ დღევანდელ იუბილიარს.

ქართული მეცნიერული აზროვნება 25 წლის მანძილზე ასე ფართოდ ვერ გაშლიდა ფრთებს, წარსულში რომ არა ჰქონოდა მას პოხიერი ნიადაგი მომზადებული. ჩვენ ჯერ კიდევ მეთორმეტე – მეცამეტე საუკუნეებში გვქონდა უმაღლესი სასწავლებლები აკადემიების სახით. მეთვრამეტე-საუკუნის მიწურულში დაიბადა აზრი ევროპული ტიპის უნივერსიტეტის შექმნისა, სათანადო პროექტიც კი იყო შედგენილი, მაგრამ ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალებამ ეს პროექტი პროექტად დასტოვა. მიუხედავად ამისა, ქართველებს არ დავიწყნიათ იგი რომანოვების ბატონობის სუსხ პერიოდშიაც-კი. ქართველი ხალხი მუდამ ოცნებობდა ეროვნულ უმაღლეს სასწავლებელზე, თუმცა მეფის ბიუროკრატიამ არამც თუ ეროვნული, ჩვეულებრივი, რუსული ტიპის უნივერსიტეტიც-კი არ გამოიმეტა ჩვენთვის, არ გამოიმეტა იმიტომ, რომ „მოუსვენარ კავკასიაში“ უნივერსიტეტი მას „კრამოლის“ ბუდედ ეჩვენებოდა.

ვერ გამოიმეტა უნივერსიტეტი ჩვენთვის ვერც თებერვლის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ.

მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გახადა შესაძლებელი რეალურ ნიადაგზე დამდგარიყო ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი. ენტუზიასტთა პატარა ჯგუფის თავდადებულმა საქმიანობამ, რომელსაც მხარს უჭერდა ქართველი ხალხის თანაგრძნობა და დახმარება, თავისი ნაყოფი გამოიღო 1918 წლის 26 იანვარს. იმ დღეს, როდესაც საქართველო იგონებდა გელათის აკადემიის შემქმნელის დავით აღმაშენებლის სახელს, ოფიციალურად გაიხსნა ჩვენი უნივერსიტეტი.

მენშევიკური მთავრობის მიერ მტრად მიჩნეული, ათასს ჭირსა და ცეცხლში გამოვლილი ქართული უნივერსიტეტი 1921 წლიდან ღვიძლ შვილად გახდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელმაც იგი აყვავებისა და წინსვლის გზაზე დააყენა. 25 წელიწადში ჩვენმა უნივერსიტეტმა განვლილ ის გზა, რომელსაც სხვა უნივერსიტეტები მთელი საუკუნე მოუნდნენ. ეს გასაკვირიც არ არის—ასეთია ტემპები ყოველგვარი საქმიანობისა საბჭოთა სინამდვილეში.

თავისი შემოქმედებითი გაქანებით თბილისის უნივერსიტეტი დღეს ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია საბჭოთა კავშირში. რეზონანსი მისი მეცნიერული მუშაობისა საკმაოდ ძლიერია, ის აღწევს არათუ ჩვენი კავშირის პერიფერიამდე, საზღვარგარეთულ სამეცნიერო ცენტრებამდეც-კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუშაობა სწარმოებს ქართულ ენაზე, რომელსაც ჯერ-ჯერობით არც ისე ფართოდ იცნობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დასაწყისი მისცა არა ერთს უმაღლეს სასწავლებელს საქართველოში, მან შესაძლებელი გახადა ჩვენში თვით მეცნიერებათა აკადემიის შექმნა და ჩამოყალიბება. არას ვამბობთ იმაზე, რომ მთავარი კადრები ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა უნივერსიტეტის კედლებიდან გამოდიან. დღეს იშვიათად იპოვით ჩვენში ისეთ დაწესებულებას, სადაც არ მუშაობდეს ხელი და ტვინი უნივერსიტეტში აღზრდილი ახალგაზრდობისა.

ბარბაროს გერმანელების მუხანათურმა თავდასხმამ ვერ შეაჩერა და ვერ შეანელა უნივერსიტეტის მუშაობა. პირიქით, მან გააათკეცა მისი შემოქმედებითი ენერგია ფრონტისა და ზურგის გასამაგრებლად და საზიზღარ მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად. საშშობლოს დაცვის საქმეს უნივერსიტეტის ახალგაზრდობა სწირავს არა მარტო ცოდნასა და უნარს, არამედ სიცხლესაც. თბილისის უნივერსიტეტში ცოდნა-მიღებულმა ბევრმა ახალგაზრდამ საგმირო საქმეებით უკვე ასახელა და გაახარა საყვარელი სამშობლო.

ვუსურვოთ ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიც ატარებს დიდი ბელადის საამაყო სახელს, მრავალი, უამრავი ოცდახუთი წლისთავი ქართველ ხალხის საბედნიეროდ, სასახელოდ და სასიხარულოდ.